



საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N5 - ბარათი

1. ბარათი წარმოადგენს ბანკის საკუთრებას.
2. ბარათი ძალაშია იმ თვის ბოლომდე, რომელიც მითითებულია ბარათზე.
3. ბანკი კლიენტს PIN კოდს გადასცემს დალუქული კონვერტის ან კლიენტის მიერ ბანკში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი SMS შეტყობინების მეშვეობით.
4. ბარათის გამოყენება შესაძლებელია:
 - 4.1. განაღდებისათვის.
 - 4.2. გადახდის ოპერაციების განსახორციელებლად პოს ტერმინალით სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში, ასევე ონლაინ გადახდებისათვის.
 - 4.3. თანხის ჩასარიცხად, ან/და თანხის შესატანად.
 - 4.4. ვალუტის გადაცვლისათვის.
5. ბარათის ბანკომატიდან ყოველდღიური (ყოველ 27 (ოცდაშვიდი) საათში ერთხელ) განაღდების ლიმიტია 1500 (ათას ხუთასი) ლარი. ბანკი უფლებამოსილია სხვადასხვა ტიპის ბარათებთან დაკავშირებით დააწესოს ბარათის ბანკომატიდან განაღდების სხვა ლიმიტი.
6. იმ შემთხვევაში თუ განაცხადით არ არის განსაზღვრული ძირითადი ვალუტა ასეთად ავტომატურად მიიჩნევა ეროვნული ვალუტა.
7. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები სრულად ვრცელდება დამატებით ბარათზე/დამატებითი ბარათის მფლობელზე.
8. დამატებითი ბარათით ჩატარებულ ნებისმიერ ოპერაციაზე პასუხისმგებელია კლიენტი.
9. დამატებითი ბარათი არ გაიცემა და დამატებითი ბარათის ხელშეკრულებით განსაზღვრული დებულებები არ გავრცელდება ბანკის მიერ შეთავაზებულ ბარათებზე, რომლებიც ითვალისწინებს გარკვეულ შეღავათებს ან აქ განსაზღვრული ბარათის კონკრეტული პირობებისგან განსხვავებულ პირობებს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული შესაბამის დანართში (კონკრეტულ პირობებში).
10. PIN კოდის სამჯერ ზედიზედ არასწორად შეყვანის შემთხვევაში ბანკომატმა შესაძლებელია დააკავოს ბარათი. დაკავებულ ბარათთან დაკავშირებით კლიენტი უფლებამოსილია მიმართოს სერვისცენტრს ან ტელეფონ ბანკს.
11. ბანკი აწესებს ხარჯვის ლიმიტებს, რომელიც დროდადრო შეიძლება შეიცვალოს ბანკის შეხედულებისამებრ.
12. ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხებიდან ბანკი, კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე ჩამოჭრის ბარათის გამოყენებით განხორციელებული ყველა ოპერაციის შესაბამის თანხას, კლიენტის მიერ გადასახდელი ყველა გადასახდელის (მათ შორის საკომისიოს) ჩათვლით.
13. მას შემდეგ, რაც კლიენტი განახორციელებს ოპერაციას ბარათის გამოყენებით მას არ აქვს უფლება მოსთხოვოს ბანკს ამ ოპერაციის შეჩერება.
14. ბანკი უფლებამოსილია გააუქმოს ოპერაცია, რომელიც ავტორიზებულია, მაგრამ ჯერ არ არის გადახდილი იმ შემთხვევაში, თუ ბანკს გააჩნია სათანადო მტკიცებულება იმისა, რომ ოპერაცია გაუქმდა.
15. ახალი ბარათი/დამატებითი ბარათი შეიძლება დამზადდეს ბანკის მიერ ცალმხრივად, ბანკის შეხედულებისამებრ ან კლიენტის მიერ შესაბამისი განაცხადის ან ხელშეკრულებით ან/და ბანკის მიერ ცალმხრივად განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა წესით წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე.
16. ბანკი უფლებამოსილია კლიენტს ავტომატურად დაუმზადოს, როგორც ახალი ბარათი, ბარათის მოქმედების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის დროს, აგრეთვე დამატებითი ბარათი.
17. ახალი ბარათის/დამატებითი ბარათის ავტომატურად დამზადების შემთხვევაში ბანკი კლიენტს გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული კომუნიკაციის საშუალებით. შეტყობინებაში ბანკი განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც კლიენტი უფლებამოსილია გაააქტიუროს ახალი ბარათი/დამატებითი ბარათი და აგრეთვე,



ადგილს ან საკომუნიკაციო არხს სადაც **კლიენტს** შეუძლია დაადგინოს ადგილი, სადაც **კლიენტს** ექნება საშუალება მიიღოს ახალი **ბარათი/დამატებითი ბარათი**. ამასთან, ახალი **ბარათის/დამატებითი ბარათის** გააქტიურება განხორციელდება **ბანკის** მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

18. ახალი **ბარათის/დამატებითი ბარათის** ავტომატურად დამზადება მოხდება **კლიენტის** ხარჯით. ამასთან, თუ **ბანკი** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს **ბარათისათვის/დამატებითი ბარათისათვის** ბანკში დადგენილი საკომისიოს მოცულობას **ბანკი** ახალი **ბარათის/დამატებითი ბარათის** დამზადებისთანავე ჩამოაჭრის **კლიენტს**.
19. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** შეტყობინებინებდა განსაზღვრულ ვადაში არ განახორციელებს ახალი **ბარათის/დამატებითი ბარათის** მიღებას/გააქტიურებას, **ბანკის** მიერ ჩამოჭრილი საკომისიო **კლიენტს** უკან არ დაუბრუნდება თუ **ბანკი** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.
20. თუ **კლიენტის** მოთხოვნის საფუძველზე ან **ანგარიშზე** შესაბამისი თანხების არარსებობის გამო **კლიენტისათვის** ახალი **ბარათი/დამატებითი ბარათი** არ დამზადებულა, **ბანკი** **ბარათის/დამატებითი ბარათის** ვადის გასვლიდან 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში შეაჩერებს **ანგარიშ(ებ)ზე** აქტივის ოპერაციებს (თანხების გატანა, გადარიცხვა ან ნაშთის სხვაგვარად შემცირება), თუ ამ დრომდე **კლიენტის** შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე **ბანკს** მისთვის ახალი **ბარათი/დამატებითი ბარათი** არ დაუმზადებია.
21. თუ **ბარათს** ვადა გაუვა და არ მოხდება ახალი **ბარათის** დამზადება, **ბარათი** გაუქმდება, მოხდება მისი ამოღება, ან მოხდება **კლიენტის** უნივერსალური მიმდინარე **ანგარიშ(ებ)ის** დახურვა (ან სხვა რაიმე მიზეზით მისი გარდაქმნა **სტანდარტულ მიმდინარე ანგარიშად**) **კლიენტს** 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში ეკრძალება **ანგარიშიდან** თანხების გადარიცხვა, გატანა ან **ანგარიშზე** არსებული სახსრების სხვაგვარად გამოყენება თუ **ბანკი** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს. **ბანკის** გადაწყვეტილებით შესაძლებელია წინამდებარე პუნქტში მოცემული ვადა გაგრძელდეს დამატებით 14 (თოთხმეტი) დღით.
22. თუ **ბარათი** მოპარული ან დაკარგულია ან **კლიენტს** ეჭვი აქვს, რომ ვიღაცამ იცის მისი **PIN კოდი** ან სხვა **წვდომის კოდი**, **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს **ბანკს**, ან გამოცხადდეს **ბანკში** პირადად, რის შემდეგაც **ბანკი** უზრუნველყოფს **ბარათის** დაბლოკვას. **ბარათის** განბლოკვა განხორციელდება **კლიენტის** განცხადების შესაბამისად.
23. იმ შემთხვევაში თუ **ბარათის** გამოყენება მოხდა არალეგალურად, **კლიენტის** მიერ **ბანკის** შეტყობინებამდე **ბარათის** დაკარგვის ან მოპარვის შესახებ, ან იმის შესახებ, რომ **მესამე პირისათვის** ცნობილია **წვდომის კოდები**, **კლიენტი** ვალდებულია აანაზღაუროს ამგვარი უკანონო გამოყენების შედეგად გადასახდელი თანხა მიყენებული ზიანი/ზარალი.
24. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა იმ **ოპერაციაზე**, რომელიც განხორციელდება **ბარათით**, **მესამე პირის** მიერ **კლიენტის** ნებართვით და ვალდებულია შეასრულოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობები.
25. თუ **ბანკი** საჭიროდ ჩათვლის მას ნებისმიერ დროს შეუძლია შეაჩეროს, ამოიღოს ან აკრძალოს **ბარათის** გამოყენება.
26. თუ **კლიენტის** მიერ მოთხოვნილია **ბარათის** დაბლოკვა **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი გაიტანოს თანხები **უნივერსალური მიმდინარე ანგარიშიდან** **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე ან/და სხვაგვარად გამოიყენოს **ბარათი**, **ბარათის** განბლოკვამდე.
27. **ბარათის** დაბლოკვის შემდეგ **ბანკი** უფლებამოსილია **ბარათთან** დაკავშირებულ **ანგარიშ(ებ)ს** მოემსახუროს **სტანდარტული მიმდინარე ანგარიშის** პირობების შესაბამისად.
28. როგორც კი **ბანკი** მიიღებს შეტყობინებას **ბარათის** დაკარგვის, მოპარვის ან უკანონოდ გამოყენების შესახებ, **ბანკი** დაბლოკავს **ბარათს**.
29. თუ **კლიენტი** იპოვის **ბარათს** (რომლის დაბლოკვის შესახებაც გაცხადებული აქვს **ბანკში**) იგი ვალდებულია გამოცხადდეს **ბანკში** და წერილობით განაცხადოს ბლოკირების მოხსნის შესახებ, ხოლო **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** განბლოკვას **ბარათი**, თუ იმ პერიოდისთვის **ბარათი** არ იქნება გაუქმებული ან ვადაგასული.



30. **კლიენტი** არ არის ვალდებული **ბარათის** უკანონო გამოყენებით გამოწვეულ ზარალზე, თუ მას არ მიუღია (ჩაუბარებია) **ბარათი**.
31. **ბანკი** არ აგებს პასუხს **მესამე პირების** მიერ **ბარათით** წარმოებულ არც ერთ **ოპერაციაზე**, აღნიშნულზე პასუხისმგებლობა ეკისრება **კლიენტს**.
32. **ბარათის** ამოღების ან **ანგარიშის** დახურვის შემთხვევაში:
 - 32.1. **კლიენტმა** უნდა გააუქმოს ყველა **მუდმივი საგადასახადო დავალება**, **ავტომატური გადახდები** ან სხვა სადებიტო **დავალება**;
 - 32.2. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს **ანგარიშზე** დარიცხული ნებისმიერი თანხა ნებისმიერ დაგვიანებით დარიცხულ თანხასთან ერთად;
 - 32.3. **ბანკი** გააგრძელებს დაგვიანებული თანხების დარიცხვას, მანამ სანამ არ მოხდება **ბანკისთვის** თანხების სრულად გადახდა;
33. **ბანკი** არ განიხილავს მიღებულ პრეტენზიებს, თუ **ბარათის** დაკარგვისას **კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელის** მხრიდან დარღვეული იქნება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **ბანკის** ინფორმირების წესები.
34. **კლიენტი** პასუხისმგებელია **ბარათის** მეშვეობით ჩატარებული ყველა არაკანონიერი **ოპერაციაზე**.
35. **კლიენტი ბანკის** წინაშე პასუხისმგებელია **ანგარიშთან** დაკავშირებულ ყველა ვალდებულებაზე, მათ შორის იმ ვალდებულებებზეც, რომლებიც წარმოიშვა **ბარათის** ან/და **ბარათის** ნომრის ან/და **ბარათის** მოქმედების ვადის ან/და **PIN კოდის** ან/და სხვა **წვდომის კოდების** გამოყენებიდან.
36. **კლიენტი** პასუხისმგებელია თუ **მესამე პირი** არ მიიღებს **ბარათს**, ან **წვდომის კოდებს**, **ბანკომატის** გაუმართაობაზე, გაფიცვასა ან დავაზე, ან ნებისმიერ სხვა ვითარებაზე, რომელიც გავლენას ახდენს **ბარათის**, **წვდომის კოდის** გამოყენებაზე და რომელსაც **ბანკი** უშუალოდ ვერ აკონტროლებს.
37. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **მესამე პირების** ქმედებაზე, **ბარათის** გაუქმებასთან ან ამოღებასთან დაკავშირებით.
38. უკონტაქტო გადახდის აპლიკაციით აღჭურვილი **ბარათები**:
 - 38.1. უკონტაქტო აპლიკაციით აღჭურვილი **ბარათით** შესაძლებელია განხორციელდეს მგზავრობის საფასურის გადახდა ტრანსპორტში.
 - 38.2. **ბანკი** უფლებამოსილია **ბარათით** ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდაზე დააწესოს გადახდის რაოდენობრივი **ლიმიტები**.
 - 38.3. იმ შემთხვევაში თუ უკონტაქტო აპლიკაციით აღჭურვილი **ბარათით** განხორციელდება მგზავრობის საფასურის გადახდა და **უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშზე** არ იქნება საკმარისი თანხა, **ბანკი კლიენტის** დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე **უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშზე** დაუშვებს **ოვერდრაფტს**, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად.
 - 38.4. უკონტაქტო აპლიკაციით აღჭურვილი **ბარათის** დაბლოკვისას **კლიენტი** ვალდებულია მოითხოვოს როგორც **ბარათის** დაბლოკვა, ასევე უკონტაქტო აპლიკაციის დაბლოკვა.
39. მგზავრობის საფასურის **უკონტაქტო აპლიკაციით** (მხოლოდ Apple Pay, Tskapp აპლიკაცია) გადახდისას მოქმედებს სტანდარტული ტარიფ(ებ)ი.
40. **ბანკი** ვალდებულია:
 - 40.1. **უნივერსალური მიმდინარე ანგარიშიდან** თანხების ჩამოწერა განხორციელოს **განაცხადში**, **კლიენტის** მიერ არჩეული გახარჯვის სქემის შესაბამისად;
 - 40.2. **ბარათის** გაუქმების ან ამოღების შემთხვევაში დაუბრუნოს **კლიენტს ანგარიშზე** რიცხული ნაშთი **ბარათის ბანკისათვის** გადაცემიდან 14 (თოთხმეტი) **საბანკო დღის** განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკი** პასუხს არ აგებს **ბარათის** მოქმედების შეჩერებაზე.
41. **ბანკი** უფლებამოსილია:
 - 41.1. დაუყოვნებლივ დაბლოკოს **ბარათი**, იმ შემთხვევაში თუ **უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშზე** დაფიქსირდება გადახარჯვა (0-ის ნიშნულის ქვემოთ ჩამოსვლა).
 - 41.2. **დამატებითი ბარათის მფლობელს** გადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია (მათ შორის **ამონაწერი**), რომელიც დაკავშირებულია **დამატებით ბარათთან** მათ შორის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია **დამატებითი ბარათის** სათანადო გამოყენებისთვის.



- 41.3. აუცილებლობის შემთხვევაში, **ბარათის** მოქმედების ვადაში შეცვალოს **ბარათი** ახლით, რის შესახებაც **კლიენტს** შეატყობინებს 14 (თოთხმეტი) **საბანკო დღით** ადრე;
- 41.4. მისცეს **მესამე პირებს** ინფორმაცია **ბარათის** ან **წვდომის კოდების** დაკარგვის, მოპარვის ან უკანონოდ გამოყენების შესახებ, იმ მიზნით, რომ **ბანკმა** შეასრულოს საერთაშორისო საგადასახდელი სისტემების წინაშე ნაკისრი ვალდებულებები.
- 41.5. **ანგარიშიდან** ჩამოწეროს, **ბანკში ბარათის** დაკარგვის შესახებ წერილობითი შეტყობინების მოსვლამდე პერიოდში, ჩატარებული **ოპერაციების** თანხები;
- 41.6. **კლიენტის** ან/და **დამატებითი ბარათის მფლობელის** მიერ **ხელშეკრულების** დარღვევის, აგრეთვე **კლიენტის** გადახდისუუნარობის შემთხვევაში შეაჩეროს ან შეწყვიტოს **ბარათის** მოქმედება.
- 41.7. შეაჩეროს **ბარათის** მოქმედება არაკანონიერი **ოპერაციების** ჩატარების აღმოჩენის, აგრეთვე, საერთაშორისო საგადასახდელი სისტემების მიერ **ბარათის** არაკანონიერი გამოყენების შესახებ ინფორმაციის მოწოდებისთანავე.
- 41.8. გააუქმოს **ბარათი** ან/და დახუროს **ბარათთან** დაკავშირებული ნებისმიერი **ანგარიში** იმ შემთხვევაში თუ **ბარათის** დამზადების შესახებ **განაცხადის** წარდგენის დღიდან 90 (ოთხმოდცაათი) კალენდარული დღის განმავლობაში არ იქნება გამოყენებული **ბარათი** ან 120 (ას ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში არ იქნება **ბარათი კლიენტის** მიერ ჩაბარებული.
- 41.9. გააუქმოს ან/და დახუროს **ბარათი** იმ შემთხვევაში თუ **ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების** განხორციელებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში **კლიენტი** არ გამოიყენებს **ბარათს**.
- 41.10. საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი განუცხადოს **კლიენტს ბარათის** გაცემაზე ან/და აღდგენაზე;
- 41.11. **ანგარიშიდან ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად უაქცეპტოდ ჩამოაწერო **ბარათით ოპერაციების** წარმოებისათვის, ასევე, **ანგარიშსა და ბარათთან** დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელი, აგრეთვე, **კანონმდებლობით** განსაზღვრული სხვა გადასახდელები;
- 41.12. არ დაადასტუროს **ავტორიზაცია/არ** შეასრულოს **დავალება**, თუ:
- 41.12.1. **კლიენტის** განცხადების შესაბამისად ან **ბანკის** შეხედულებისამებრ **ბარათი** დაიკარგა ან მოპარულ იქნა.
- 41.12.2. **კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი** არღვევს **ხელშეკრულებას**.
- 41.12.3. **ბანკის** მიერ ავტორიზებული ყველა (ჯერ ჩამოუჭრელი თანხების ჩათვლით) **ოპერაციის** გათვალისწინებით **ანგარიშზე** საკმარისი თანხები არ არსებობს.
42. **კლიენტი** ვალდებულია:
- 42.1. **განაცხადის** შევსებიდან 1 (ერთი) **საბანკო დღის** ვადაში **უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშ(ებ)ზე** ჩარიცხოს თანხა ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით **ბარათის** ტიპისათვის **ბანკში** დადგენილი აუცილებელი შენატანის ოდენობით.
- 42.2. შეინახოს **ბარათის** გამოყენებით წარმოებულ **ოპერაციებზე** არსებული ყველა დოკუმენტი და წარუდგინოს იგი **ბანკს, ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში.
- 42.3. **ბარათის** დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს**. ყოველი ზეპირი განაცხადი უნდა დადასტურდეს **ბანკში** პირადი მისვლით და წერილობით განცხადებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, **ბანკი** პასუხს არ აგებს იმ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შეიძლება მიადგეს **კლიენტს**.
- 42.4. დაკარგული **ბარათის** აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისი მიწოდება **ბანკსთვის**.
- 42.5. **ბანკის** მიერ **ბარათის** გაუქმების ან ამოღების შემთხვევაში დაუბრუნოს **ბარათი ბანკს** შეტყობინებიდან არა უგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში;
- 42.6. სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტში **ბარათით** შეძენილი საქონლის/მომსახურების უკან დაბრუნების შემთხვევაში, არ მოითხოვოს შეძენილი საქონლის/მომსახურების ღირებულების უკან დაბრუნება ნაღდი ანგარიშსწორების გზით. თანხის დაბრუნება განხორციელდება შესაბამისი ღირებულების თანხის **უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშზე** ჩარიცხვის გზით;
- 42.7. **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუბრუნოს **ბარათი ბანკს**. ბარათის დაუბრუნებლობის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია გააუქმოს **ბარათი**.
- 42.8. ხელი მოაწეროს **ბარათს** მისი მიღებისთანავე. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** არ მოაწერს ხელს **ბარათს** ან ხელმოწერის **ბანკში** დაფიქსირებულ **კლიენტის** ფაქსიმილიასთან შეუსაბამობის შემთხვევაში



- ბანკს** შეუძლია შეაჩეროს, ჩამოართვას ან შეუზღუდოს **კლიენტს ბარათის**, ან **წვდომის კოდების** გამოყენების შესაძლებლობა;
- 42.9. უსაფრთხოდ შეინახოს **ბარათი** და არ მისცეს **მესამე პირებს** მისი გამოყენების შესაძლებლობა;
 - 42.10. დაიმახსოვროს და შემდეგ დაუყოვნებლივ გაანადგუროს **წვდომის კოდები** მათი მიღებისას.
 - 42.11. არასოდეს როს არ დაწეროს **წვდომის კოდები** ისე, რომ **მესამე პირებმა** შეძლონ მათი მოპოვება;
 - 42.12. ყოველთვის დაიცვას **ბარათით** სარგებლობის წესები.
 - 42.13. გააცნოს **დამატებითი ბარათის მფლობელს ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობები.
 - 42.14. აუნაზღაუროს **ბანკს** ზიანი/ზარალი, რომელიც წარმოიქმნება **ბარათის მფლობელის** მიერ მოცემული **ხელშეკრულების** პირობების დარღვევის გამო.
43. **კლიენტი** უფლებამოსილია:
- 44. მოითხოვოს **დამატებითი ბარათის** დამზადება **ბანკის** მიერ განსაზღვრულ **ბარათებზე**.
 - 44.1. **ბარათით** განახორციელოს **ოპერაციები** მხოლოდ **ხარჯვის ლიმიტის** ფარგლებში;
 - 44.2. გააპროტესტოს მაქსიმუმ 5 (ხუთი) **ოპერაცია**, რომელიც ჩატარებულია **ბარათის** გამოყენების გარეშე საფოსტო კავშირის მომსახურებით ან ინტერნეტ ქსელით. **ბანკის** მიერ პრეტენზიები ზემოხსენებული ტიპის **ოპერაციებზე** მიიღება მხოლოდ დაკარგული **ბარათის** განახლების შემთხვევაში;
 - 44.3. მოითხოვოს **ბარათის** განახლება;
 - 44.4. შეწყვიტოს **ბარათის** გამოყენება (ან **დამატებითი ბარათის მფლობელის** მიერ **დამატებითი ბარათის** გამოყენება) **ბანკში** წერილობითი განცხადებით და **ბარათის** და **დამატებითი ბარათის ბანკისთვის** დაბრუნებით;
45. **ბანკი** არ აგებს პასუხს:
- 45.1. მომსახურების განხორციელების დაყოვნებისათვის, თუ ასეთი დაყოვნება გამოწვეული იყო **ბანკისაგან** დამოუკიდებელი მიზეზით;
 - 45.2. **ბარათის** მეშვეობით ჩატარებული **ოპერაციის** კანონიერებაზე;
 - 45.3. **ბარათის** მოქმედების შეჩერებაზე;
 - 45.4. თუ მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები ვერ განხორციელდა ტექნიკური ხარვეზის გამო.
46. **კლიენტს** არ აქვს უფლება:
- 46.1. გამოიყენოს **ბარათი კანონმდებლობით** ან/და სხვა ქვეყნის შესაბამისი იურისდიქციით განსაზღვრული არალეგალური მიზნებისთვის;
 - 46.2. გამოიყენოს **ბარათი** მის ძალაში შესვლამდე, ან **ბარათის** ვადის გასვლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც **კლიენტი** მიიღებს შეტყობინებას იმის შესახებ, რომ **ბანკმა** გააუქმა **ბარათი**, ან თუ **ბარათი** დაბლოკილია, ან თუ **ბანკს** დაწესებული აქვს რაიმე სახის შეზღუდვები **ბარათის** გამოყენებასთან დაკავშირებით;
 - 46.3. გამოიყენოს **ბარათი** თუ მასზე არ არის **ოპერაციის** შესრულებისათვის საკმარისი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია **ოპერაციის** შესრულებისათვის (საკომისიოს თუ სხვა გადასახდელების ჩათვლით) აუცილებელი თანხის ოდენობით **უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშზე** დაუშვას **ოვერდრაფტი ბანკში** დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
47. **ბარათთან** დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება **კანონმდებლობით** და საერთაშორისო საგადახდელო სისტემების მიერ განსაზღვრული პირობებით.
48. **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკომატში ბარათის** მოთავსების გზით აღადგინოს **PIN კოდი**. **PIN კოდის** აღდგენისთვის აუცილებელია **ბანკომატში კლიენტის** დაბადების თარიღის მითითება. **PIN კოდის** აღდგენისთვის აუცილებელი **ერთჯერადი კოდი** გაიგზავნება **კლიენტის ფინანსურ ნომერზე**, რომლის შეყვანის შემდეგაც შესაძლებელი იქნება **PIN კოდის** აღდგენა. **ერთჯერადი კოდის** არასწორად შეყვანის შემთხვევაში **კლიენტს** დაუბრუნდება **ბანკომატში** მოთავსებული **ბარათი**.